

შპს “ეი ჯი აი გრუპი“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ასარჩევი

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....	3-4
საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5-6
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-13

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		შენიშვნები	31-12-18	31-12-17
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	7		109,432	47,510
სავაჭრო მოთხოვნები			1,365,799	838,886
გადახდილი ავანსები			2,508	37,656
მარაგები			39,146	59,619
		მზა პროდუქცია	-	-
	სხვა	8	39,146	59,619
საინვესტიციო ქონება			-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	9		56,558	46,005
ბიოლოგიური აქტივები			-	-
თვითღირებულების მოდელით			-	-
გადაფასების მოდელით			-	-
გუდვილი			-	-
სხვა არამატერიალური აქტივები			1,233	1,403
ძირითადი საშუალებები			118,376	152,662
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები			-	-
სულ აქტივები			1,693,050	1,183,740

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები		423,200	166,165
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		184,573	187,241
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		17,000	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-
მიღებული გრანტები		-	-
სხვა ვალდებულებები	10	1,068,177	830,233
სულ ვალდებულებები		1,692,950	1,183,640
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	11	100	100
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(0)	-
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		100	100
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,693,050	1,183,740

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2018 წელი
ნეტო ამონაგები		6,708,996
საქონლის გაყიდვიდან		-
მომსახურების გაწევიდან	3	6,700,436
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-
სხვა	3	8,559
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-
საწყისი მარაგები		59,619
მარაგების შესყიდვა		(20,473)
გადამუშავების დანახარჯები		-
საბოლოო მარაგები		39,146
საერთო მოგება		6,708,996
სხვა შემოსავალი	4	1,700
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(1,264,625)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(49,219)
საპროცენტო შემოსავალი		-
საპროცენტო ხარჯი (-)		(782)
იჯარის ხარჯი (-)		(854,997)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	5	(1,802,265)
სულ საოპერაციო ხარჯები		(3,971,888)
საოპერაციო მოგება		2,738,807

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

ფინანსური აქტივები (-)	-
მარაგები (-)	-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)	-

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(2,495)
მიღებული დივიდენდები	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	2,736,312

მოგების გადასახადი (-)	6	(402,210)
------------------------	---	-----------

მოგება/(ზარალი)	2,334,103
------------------------	------------------

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	2,334,103
---	------------------

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	100
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(2,334,103)
--	-------------

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	2,334,103
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	100
--	------------

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2018 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	59,473
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(12,055)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	17,000
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	64,417
სავალუტო კურსის ეფექტი	(2,495)
 ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	 47,510
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	109,432

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ეი ჯი აი გრუპი“ (ს/ნ 404872688) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2010 წლის 17 სექტემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, კოსტავას ქ., №70, სართული 2, შენობა №, ხოლო საქმიანობის ძირითადი ადგილი - საქართველო, ქ. თბილისის, ქეთვან წამებულის 25. შპს „ეი ჯი აი“-ს მესაკუთრე არის: 1) P3684574, მაგსუბ მამმადოვ, აზერბაიჯანი- 100%; კომპანიის დირექტორი არის P3545111, 01092002861, ვუგარ სულეიმანოვ, აზერბაიჯანი. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სატრანსპორტო გადაზიდვის მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშვება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	<u>2018 წელი</u> ლარი
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურების მიწოდებიდან	6,700,437
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	8,559
	<u>6,708,996</u>

5. სხვა შემოსავალი

	<u>2018 წელი</u> ლარი
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	1,700
	<u>1,700</u>

5. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	<u>2018 წელი</u> ლარი
სატრანსპორტო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯი	1,711,389
გარემოს დაცვის ჯარიმა	1,363
სპეც. ტანსაცმლის ხარჯი	7,597
საოფისე ინვენტარის ხარჯი	10,278
კომუნალური ხარჯი	8,971
კომუნიკაციის ხარჯი	19,123
სხვა ხარჯები	18,627
საკანცელარიო ხარჯი	866
დაზღვევის ხარჯი	4,577
საგადასახადო ხარჯი	1,557
ბანკის მომსახურების ხარჯი	4,787
მივლინების ხარჯი	4,463
წარმომადგენლობითი ხარჯი	8,667
	<u>1,802,265</u>

6. მოგების გადასახადი

2018 წლის საანგარიშო პერიოდში კომპანიის მიერ ბიუჯეტში გადასახდელმა მოგების გადასახადმა შეადგინა 402,210 ლარი. აღნიშნული თანხა შეადგენდა გაცემული დივიდენდის $(2,334,103/0,85 \times 0,15)$ კუთვნილ მოგების გადასახადს.

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	65,089	23,181
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	44,343	24,329
	<u>109,432</u>	<u>47,510</u>

8. მარაგები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
საწვავი	26,767	47,240
ავტომობილების სათადარიგო ნაწილები	11,564	11,564
სხვა მარაგები	815	815
	<u>39,146</u>	<u>59,619</u>

9. სხვა მიმდინარე აქტივები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
სხვა მოთხოვნები	56,558	46,005
	<u>56,558</u>	<u>46,005</u>

10. სხვა ვალდებულებები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
გადასახდელი დივიდენდები	1,068,177	828,883
მიღებული ავანსები	1,350	1,350
	<u>1,068,177</u>	<u>830,233</u>

11. საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 100 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებელი.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 27 სექტემბერს.

შპს „ეი ჯი აი გრუპი“-ს

დირექტორი: ვუგარ სულეიმანოვ /

